

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების როლი
ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკურ ჩართულობასა და
ელექტორალურ ქცევაში

ალექსანდრა კალატოზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრა კალატოზიშვილი

26 ივნისი, 2019 წ.

აბსტრაქტი

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია, მათ შორის პოლიტიკური და ელექტორალური ჩართულობა მრავალი ქვეყნისთვის მნიშველოვან გამოწვევას წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკურ და ელექტორალურ ქცევას და მინზად ისახავს, განსაზღვროს მოცემული ჯგუფის ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ხარისხი, გამოკვეთოს პოლიტიკური და ელექტორალური ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები, დაადგინოს მდგენელები, რომლებიც განაპირობებს მათ მიერ გაკეთებულ არჩევანს, ასევე განსაზღვროს, თუ რა ფაქტორები აფერხებენ აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის საარჩევნო თუ პოლიტიკურ პროცესში სრულფასოვან ჩართულობას. მოცემულ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვემო ქართლის რეგიონში არსებული ვითარების შესწავლასა და ანალიზს, სადაც კომპაქტურად დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კომპონენტებს, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა საკვლევი საკითხის შესწავლა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების დაბალი პოლიტიკური ჩართულობა და მაღალი ელექტორალური ქცევა სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტის გავლენით, ისევე როგორც რაციონალური ქმედებითა და არჩევანით არის განპირობებული. აღნიშნულ ვითარებას მნიშველოვანწილად უწყობს ხელს წლების მანძილზე სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული პრობლემები. ეს კი, საბოლოო ჯამში, ეთნიკურად აზერბაიჯანელ ამომრჩეველს პოლიტიკური და ელექტორალური მანიპულაციებისადმი კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის. კვლევის მიგნებებმა ასევე აჩვენა, რომ ელექტორატთან ურთიერთობასა და მობილიზებისთვის ფორმალური ინსტიტუტებიც კი ხშირად არაფორმალურ მექანიზმებს, მათ შორის სოციალურ (ოჯახურ, სათემო და სხვ.) ქსელებს მიმართავენ. კვლევის მიგნებების საფუძველზე შემუშავდება პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც შევა რეკომენდაციები საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტსა და ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისთვის პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესში

ეთნიკური აზერბაიჯანელების ჩართვის გაზრდისა და მოცემული ჯგუფის ელექტორალური ქცევის გაუმჯობესებისთვის. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი მსგავსების გათვალისწინებით, კვლევის მიგნებები და მათზე აგებული რეკომენდაციები შეიძლება რელევანტურად მივიჩნიოთ სხვა მსხვილი ეთნიკური ჯგუფებისთვისაც (მაგ. სომხური თემი). გარდა ამისა, კვლევა იძლევა ხელსაყრელ ნიადაგს ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური და ელექტორალური ჩართულობის კუთხით არსებული სპეციფიური გამოწვევების სიღრმისეული შესწავლისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, ეთნიკური აზერბაიჯანელები, ქვემო ქართლი, პოლიტიკური და ელექტორალური ჩართულობა, არჩევნები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები.

Abstract

The civic integration of the ethnic minorities, including in political and electoral processes, poses a significant challenge to many countries. The present paper studies the political and electoral behaviour of ethnic Azerbaijanis living in Georgia and aims to define the level of their participation in the socio-political processes in the country, as well as to highlight the factors behind the political and electoral behaviour, to establish qualifiers that influence their choice and to define which factors prevent this ethnic group from full-fledged participation in the electoral or political processes. In this context, the situation in the Kvemo Kartli region falls in the main focus of our study and analysis, which is densely populated with the ethnic Azerbaijani constituencies. The methodology of the study includes both - quantitative and qualitative components, which were used to analyse the subject of this study. The study shows that the low political participation and high electoral behavior of ethnic Azerbaijanis is influenced by different formal or non-formal institutions, as well as by rational action and choice. To a greater extent, this is a result of the problems of civic integration which have for many years contributed to this situation and which ultimately make ethnic Azerbaijani constituencies even more vulnerable to political and electoral manipulations. The findings also show that even the formal institutions often apply non-formal means to communicate with and mobilize the electorate, including the social (family, community, etc) networks. A policy paper will be developed on the basis of the findings, which will include recommendations for the election administration of Georgia, the Parliament and the political parties on how to increase the participation of ethnic Azerbaijanis in the political and electoral processes and to improve their electoral behaviour. Given the urgency of this issue and the significant similarity with the problems of other ethnic minorities living in Georgia, the findings of the study and the recommendations could be also relevant to other large ethnic groups (e.g. Armenians). Besides, the study creates a good ground for further in-depth analysis of specific challenges related to political and electoral participation of ethnic minorities.

Keywords: ethnic minorities, ethnic Azerbaijanis, Kvemo Kartli, political and electoral participation, elections, civic integration, formal and non-formal institutions.